სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

სალომე ბახია-ოქრუაშვილი[1]
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

https://doi.org/10.52340/sou.2023.21.02

აფხაზეთის ისტორიული სინამდვილე და აფხაზთა ეთნოცენტრისტული ისტორიოგრაფია

აბსტრაქტი: წყაროების საშუალებით დასტურდება, რომ ძვ.წ. VI ს-დან ახ. წ. II საუკუნემდე (131 წლამდე) კოლხეთსა და მთლიანად აფხაზეთში მხოლოდ ქართველური მოსახლეობა ცხოვრობდა.

ახ. წ. II და V სს-ში ჩრდილო კავკასიიდან დისკრეტილი, ე.ი. ჯერ ეთნიკურად გაუფორმებელი, ჩამოუყალიბებელი, მომთაბარე მოსახლეობა ჩამოსახლდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მათი ენა ცნობილი არ იყო. ორივე ტალღა VII საუკუნისთვის, მათზე ბევრად განვითარებულ და მაღლა მდგომ ქრისტიან ქართველურ მოსახლეობას ადვილად და ბუნებრივად შეერწყნენ. ორივე ტალღა გაქრისტიანდა. ქართველებმა ამ უსახელო დისკრეტულ ტომებს „აფხაზები“ უწოდეს.

წყაროების თანახმად, XVI ს-ში ჩრდილო კავკასიიდან ეთნიკურად ჩამოყალიბებული ჯიქ-აბაზები ჩამოსახლდნენ, რომელთაც მეკობრული ჩვევები ახასიათებდათ. ისინი ნახევრად მომთაბარე მოსახლეობა იყო. ქართულ მოსახლეობას აწიოკებდნენ, იტაცებდნენ, წინააღმდეგობას ვინც უწევდა მათ ხოცავდნენ, ვისაც ხელში ჩაიგდებდნენ - ახალგაზრდებს, ქალებს, ბავშვებს, - შავ ზღვაზე, ოსმალებზე ჰყიდდნენ. ჩამოსახლებულმა მოსახლეობამ II-V სს-ების „აფხაზების“ ეთნონიმი მიითვისეს, თუმცა ქართველების დახმარებით. თანამედროვე აფხაზები XVI საუკუნიდან XVIII საუკუნემდე ჩამოყალიბდნენ, თუმცა მათ არავითარი კავშირი არ ჰქონდათ II-V საუკუნეების აფხაზებთან.

[1] **სალომე ბახია - ოქრუაშვილი.** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

საბჭოთა პერიოდში თანამედროვე აფხაზთა ავტორებმა ისტორიული სინამდვილის გაყალბება დაიწყეს. წყაროების გარეშე, ზეპირად არარსებულ ისტორიებს ქმნიდნენ და ქართულ ძირ-ძველ მიწა-წყალს ითვისებდნენ.

საკვანძო სიტყვები: აფხაზები, ისტორიული სინამდვილე, ეთნოცენტრისტული ისტორიოგრაფია.

Salome Bakhia-Okrushvili[2]

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

The Historical Reality of Abkhazia and the Ethnocentrist Historiography of the Abkhaz

Abstract. Historical sources confirm that from the 6th century BCE to the 2nd century CE (until 131 AD), the territory of Colchis and the whole of present-day Abkhazia was inhabited exclusively by Kartvelian (Georgian) populations.

In the 2nd to 5th centuries CE, discrete groups of ethnically undefined, nomadic peoples migrated from the North Caucasus to western Georgia. Their language was unknown. By the 7th century, both waves of settlers had easily and naturally assimilated with the more advanced, Christian Kartvelian population. They converted to Christianity and were referred to by Georgians as “Abkhazians,” a name given to these previously unnamed groups.

According to sources, in the 16th century, ethnically distinct groups of Jikhs and Abazas, characterized by piratical practices, migrated from the North Caucasus. These semi-nomadic groups raided the native Georgian population, kidnapped people, and killed those who resisted. Young people, women, and children were sold on Ottoman ships across the Black Sea. These settlers appropriated the ethnonym “Abkhaz” from the earlier, 2nd–5th century waves—again, with the help of Georgians. The modern Abkhaz people were formed between the 16th and 18th centuries and have no ethnic or historical connection with the Abkhaz of the 2nd–5th centuries CE.

During the Soviet era, contemporary Abkhaz authors began falsifying historical facts. Without reliable sources, they constructed fabricated oral histories and claimed ownership over Georgian ancestral lands.

Keywords: Abkhazians, Historical Reality, Ethnocentrist Historiography.

---

[2] **Salome Bakhia-Okrushvili** - Doctor of Historical Sciences, Chief Researcher at the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology.

შესავალი. თანამედროვე აფხაზთა, როგორც ისტორიული, ისე ეთნოლოგიური კვლევა, ჩრდილო კავკასიიდან XVI ს-ში ჩამოსახლების შემდგომ, დაკავშირებულია ქართველებთან საკმაოდ მძიმე და რთული ურთიერთობის ფონთან. საკითხი მოითხოვს, მოკლედ შევეხოთ იმ „აფხაზებს“, რომლებიც ადრეულ ხანაში ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლდნენ - პირველი ტალღა ჩვ.წ. II საუკუნეში, ხოლო მეორე ტალღა ჩვ.წ. V საუკუნეში ჩამოსახლდა, ეს მოვლენა ბერძნულ წყაროებში აისახა. ორივე ტალღა ეთნიკურად გაუფორმებელი, მომთაბარე მოსახლეობა იყო, ეს დაქსაქსული მთიელი ტომები მესაქონლეობით, მონადირეობით და ველური ნაყოფის შეგროვებით იყვნენ დაკავებული. მათ მრავალტომიანობა, გარე სამყაროსთან ურთიერთობის სირთულე ახასიათებდათ... ყველა ისინი სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ, რადგანაც საკმაოდ ჭრელი, გაფანტულად მცხოვრები მოსახლეობისგან შედგებოდნენ, ურთიერთობაში ერთმანეთთანაც არ შედიოდნენ. რაც მთავარია, მთიელები ფაქტობრივად უსახელოები იყვნენ... სტრაბონთან, პლინიუს უფროსთან, კლავდიუს პტოლემაიოსთან წყაროებში ისინი სხვადასხვა სახელით მოიხსენიებიან - „სირაკების“, „აორსების“, „ტროგლოდიტების“, „ზამეტინების“, „ისადიკების“, „მეოტების“ და სხვა. მათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არც ნაგებობებში გააჩნდათ, ერთი ადგილიდან მეორეზე „კიბიტებით“ გადაადგილდებოდნენ (История..., 1988:84-85, 87-88).

მსჯელობა. სტრაბონი, რომელიც ჩრდილო კავკასიელ მთიელებს მსგავს დახასიათებას აძლევდა, იმასაც აღნიშნავდა, რომ „მიუხედავად ამისა, მრავალი მათგანი გაცვლითი ვაჭრობისთვის შავი ზღვის სანაპირო მოსახლეობასთან ურთიერთობას „ინარჩუნებენ“ (Латышев, 1904,43).

ფლავიუს არიანე თავის ნაშრომებში „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ ამ აფხაზებს პირველად „აბასკოი“ ფორმით მოიხსენიებს, რადგანაც ისინი მან ამ მდინარის ხეობაში დააფიქსირა. მდ. აბასკოსი, დღეს მდინარე ბზიფს უნდა გულისხმობდეს (ინაძე, 2009:429; მოლოური, 1986:6). ფლავიუს არიანემ ჩამოსახლებულთა პირველი ტალღა 131 წ. დააფიქსირა. ნ. კეჭაღმაძემ, რომელმაც მისი ნაშრომი თარგმნა, თავისი ვარაუდიც გაგვაცნო, იგი ფიქრობს, რომ ფლავიუსმა სწორედ სახელწოდების უქონლობის გამო მათ „აბასკოი“ უწოდა (ფლავიუს არიანე... 1961:42-43).

ახ.წ. V საუკუნეში მეორე ნაკადის ჩამოსახლებულთა შესახებ VI საუკუნის ბიზანტიელი ჟამთააღწერელის პროკოპი კესარიელის ცნობით - ჩამოსახლებულები მომთაბარე მესაქონლეები, დაბალგანვითარების, ეთნიკური სახელწოდების უქონელნი ყოფილან.

იგი მათ დასახლების ფორმაზეც გვაწვდის მასალას - „მათი საცხოვრებლები გვერდიგვერდ, წრიულად მდგარა. გარშემო ხის წნული მაგარი ღობით ყოველი მხრიდან შემოსაზღვრული ყოფილა. წნული საცხოვრებლები ფასადით

შუა ცენტრისაკენ მიმართული იყო, ხოლო ცენტრში საქონელი ეყენათ. მათი სოციალურად გვაროვნული ჯგუფის მთავარ ეკონომიკურ წყაროს მესაქონლეობა წარმოადგენდა“ (ყაუხჩიშვილი, 1976). ისინი თაყვანს სცემდნენ ჭალებსა და ტყეებს, ხეები რაღაც გულუბრყვილობის გამო ღმერთებად მიაჩნდათ“... საინტერესოა ისიც, რომ პროკოპი კესარიელისავე ცნობით იმ დროისთვის, II საუკუნეში ჩამოსახლებული მოსახლეობა უკვე გაქრისტიანებული ყოფილა... ამ ნაშრომიდან ისიც კარგად ჩანს, რომ VI საუკუნეში იუსტინიანეს მეფობის დროს ჩამოსახლებულ მოსახლეობასაც მალევე უნდა განეცადა ქრისტიანული რელიგიის გავლენა (ყაუხჩიშვილი, 1950:133-135).

ზ. ანჩაბაძის კვლევითაც, ჩრდილო დასავლეთ კავკასიის მიწა-წყალზე ანტიკურ ეპოქაში ძვ.წ. V საუკუნიდან ჩვ.წ. V საუკუნის ჩათვლით ჯერ კიდევ არ იყო ეთნიკური ერთეულები ჩამოყალიბებული. ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა ამ პერიოდში ცალკეულ ტომებად იყვნენ დაქუცმაცებული...(ანჩაბაძე..., 1969:23).

ამ ნაშრომის მეორე ავტორი მ. ცინცაძე კი, რომელიც V-X საუკუნეების მკვლევარი იყო, წერს, რომ „არც V-X საუკუნეებში ცალკეულ ტომთა გაერთიანების რაიმე მნიშვნელოვანი ცდა არ ყოფილა (ანჩაბაძე..., 1969:28).

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს მკვიდრ ქართველურ მოსახლეობას, ისინი ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის პირველ ნახევარშიც უკვე „ზვინურ საყრდენებზე“ ცხოვრობდნენ, რომელსაც მეგრულად „ნოხვამუ“, „დიხაგუძუბა“ ეწოდებოდა, რომელზედაც ე.წ. ჯარგვალური ტიპის საცხოვრებელი ნაგებობები (თიხატკეპნილი იატაკებით) ედგათ. ამ სახლს მორებიანი საძირკველი, რკალად შემოვლებული ხის ძელების ლიანდაგისებური წყობა გააჩნდათ (მიქელაძე, 1974:47; გოგაძე, 1982:11-13).

ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ქართველური მოსახლეობა სოციალური ყოფითაც საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა. გვარები მცირე ერთეულებად იყო დაშლილი და დიხაგუძუბაზე დიდი ოჯახები სახლობდა, რომელსაც მეგრულად - „ოხორი“, ხოლო სვანურად „ლალხორი“ ეწოდებოდა (ჯავახიშვილი, 1986:131-132).

დასავლეთ საქართველოში ჩამოსახლებულ ამ ორ II და V საუკუნეების ტალღებს ჩვენ დისკრეტული (ლათინური წარმომავლობის ტერმინი, ე.ი. წყვეტილი, ცალკეული ნაწილებისაგან შედგენილი (Словарь, 1988:71)) ვუწოდეთ სწორედ ამ დისკრეტულ, უსახელო ჯგუფებს, ჩვენი ვარაუდით ამიტომაც უწოდა მკვიდრმა ქართველურმა მოსახლეობამ „აფხაზები“, ხოლო ბერძნებმა კი - „აბაზგები“. ისინი თავისზე ბევრად განვითარებულ მოსახლეობას ადვილად შეერწყნენ და გაქართველდნენ კიდეც.

VI საუკუნეშიც სწორედ ამიტომ წერდა პროკოპი კესარიელი, რომ „აფხაზნიცა შეიცვალნეს უმჯობესად და ქრისტიანებისა შეიწყნარეს ქადაგება“ (ყაუხჩიშვილი, 1963:215). ქართველურ მოსახლეობაში ისინი ისე გაითქვიფნენ, რომ VII

საუკუნისთვის ქართველებისაგან მათი გამორჩეულობის შესახებ ცნობა, როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში ქრება.

ცხადია, ქრისტიანული რელიგიის საბოლოო გამარჯვებამ შემოჭრილ ტალღებზე გავლენა იქონია, რასაც ადასტურებს VIII საუკუნეში წმინდა აბო თბილელი, რომელმაც „იხილა ქვეყანაჲ სავსე ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოდათანი მკვიდრად იპოვების საზღვარსა მათთა“ (საბანისძე, 1981-128).

წყაროთა მოწმობით, როგორც ჩანს, ბიზანტიის მხარდაჭერით გაძლიერებული ეგრისის სამეფო (ლაზიკე) თავის საზღვრებს - აბაზგებით, სანიგებით, აფშილებით და მისიმიანებით აფართოებს, თუმცა, VI საუკუნეში ბიზანტიის მცდელობით ეგრისის სამეფოს აბაზგები გამოეყო და ბიზანტიის დაქვემდებარებაში შევიდა. აბაზგიის, ე.ი. ქართული მოსახლეობა ამის შემდეგ თავის ხელისუფლებას აღმოსავლეთით სებასტოპოლისამდე, უფრო სწორად, მდ. კელასურამდე და შემდეგ მდ. აქეუნტამდე ავრცელებენ. სწორედ ამ ტერიტორიას, კავკასიონის მთებამდე ეწოდა „აფხაზეთი“, ბერძნულად „აბაზგია“ (Анчабадзе, 1959:30; ინაძე, 1960:160; მისივე, 2009:429; ლომოური, 1968: 67-76; ლორთქიფანიძე, 1973:416-417; მუსხელიშვილი, 1980:52-53; ხორავა, 1996:28-29).

ამრიგად, უნდა განვაცხადოთ, რომ ამ დისკრეტულ ჯგუფებს XVI საუკუნის აბაზ-აფხაზებთან სახელწოდებისა და ერთი რეგიონიდან ჩამოსახლების მეტი, არაფერი აკავშირებთ. II საუკუნის ტალღას 15 საუკუნე, ხოლო V საუკუნის ტალღას 11 საუკუნე აშორებთ.

VIII საუკუნის 80-იან წლებში ლეონ II-მ ეგრის-აფხაზები ბიზანტიელთა ვასალობისგან გაათავისუფლა და „აფხაზეთის სამეფო“ ჩამოაყალიბა... ამის შესახებ აი რას წერდა ნ. ბერძენიშვილი - „ასე იშვა ქართველურ თუ არაქართველურ ტომთა შერწყმის შედეგად ფეოდალური საქართველო, არა დაპყრობისა და არც ნათესაობის საფუძველზე, არამედ საზოგადოებრივი განვითარების დონის ამაღლების გზაზე მდგომი ხალხის ურთიერთობის შედეგად (ბერძენიშვილი, 1990:406).

XV საუკუნის მეორე ნახევარში ერთიანი მონარქიული საქართველო პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა, ფეოდალურმა დაპირისპირებამ, წყობის დასუსტებამ და მმართველობის მოშლამ, კავკასიონზე გამავალი საზღვარიც მოშალა. ამ პერიოდს ჩრდილო კავკასიაში მონღოლების და ყირიმის თათრების თარეშიც დაემთხვა. თუ მანამდე კავკასიის ქედის საზღვარი მტკიცედ იყო დაცული, თავდაცვის სისტემის მოშლამ მთიელთა ტალღის ჯერ თარეშს და შემდეგ ჩამოსახლებას შეუწყო ხელი.

თანამედროვე აფხაზების წინაპრები აბაზები XIV საუკუნემდე შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ტუაფსამდე ცხოვრობდნენ. XIV საუკუნეში კი მასობრივად ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ლოკალიზდნენ (Лавров, 1955:-21; ანჩაბაძე..., 1969:77-78; Данилова, 1984:21).

დღეს თანამედროვე აფხაზები პრეტენზიებს აცხადებენ, რომ II და V საუკუნეების აფხაზები თითქოს მათი ქრისტიანი წინაპრები იყვნენ. რაც, ბუნებრივია, აბსურდია - მათ არავითარი ირიბი კავშირიც კი არა აქვთ ამ უძველეს მოსახლეობასთან. საინტერესოა, არსებობენ კი ქრიატიანები, რომლებიც შემდეგ წარმართები გახდნენ?

XV საუკუნის ბოლოს აბაზებმა დასავლეთ საქართველოში თარეში და თავდასხმები დაიწყეს. მოსახლეობას ძარცვავდნენ, ვისაც დაიჭერდნენ ოსმალთა გემებზე ტყვეებად ჰყიდდნენ, ვინც წინააღმდეგობას უწევდა, ხოცავდნენ. XVI საუკუნიდან კი ჩამოსახლება დაიწყეს. ეს მოვლენები 1470-1474 წწ „მცნებაჲ ესე სასჯულოში“ აისახა - „აფხაზეთი ქრისტიანებისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებისაგან განშორებულ იყუნეს“ (დოლიძე, 1971:222).

აი, რას წერს და მათი „ქრისტიანული ცივილიზაციის“ შესახებ ჯ. გამახარია - „მიუხედავად იმისა, რომ XVI-XIX სს-ში აფსუა-აფხაზებმა ქართული ქრისტიანული ცივილიზაცია გაანადგურეს, XX ს-ში უხვად დაიწყეს წერა, რომ „ამ ქრისტიანული ცივილიზაციის „სამართალმემკვიდრენი“ თვით ყოფილან. ამაში „პირველობას“ არავის უთმობს დღეს იქ მოღვაწე დიმიტრი დბარი - არქიმანდრიტი დოროთე, რომელმაც 2001 წ. რუსეთში დისერტაცია დაიცვა, ხოლო 2005 წ. მონოგრაფია გამოაქვეყნა. ამ მონოგრაფიაში თავდაყირაა დაყენებული დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ისტორია. თურმე, ქართული ეკლესიები „თანამედროვე აფხაზების წინაპრების აშენებული ყოფილა“... ეს არის ისტორიის თანდათანობითი მიტაცების, განადგურების, დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათოლიკების განდევნის უნიკალურ სიწმინდეთა მოსპობის ტრაგიკული ისტორია“ (გამახარია, 2018:147-148, 163-164).

ყოველი აფხაზი ისტორიკოს-ეთნოლოგი შიშის გარეშე თავისუფლად წერდა და დღესაც წერენ სიყალბეებს, რადგან რუსეთის მთავრობათა წარმომადგენლები (როგორც მეფის, ისე საბჭოთა და დღევანდელი რუსეთის) ქართველებს სიმართლისთვის უფრო აკრიტიკებდნენ და უკრძალავდნენ წერას, ვიდრე აფხაზებს სიყალბისთვის. პასუხის გაუცემლობამ დღეს ჩვენს სამშობლოს ერთ-ერთი ძირძველი მხარე დააკარგვინა. ყველა აფხაზი ავტორი „აფხაზეთის სამეფოს“ „თანამედროვე აფხაზების წინაპრების შექმნილად აცხადებდნენ“, იმას როდი ითვალისწინებენ, რომ სახელმწიფოს შექმნას - განვითარება, განათლება, ენა და დამწერლობა, ბევრი სხვა რამ სჭირდება. არადა XVI ს-ში ჩამოსახლებული აბაზები ნახევრად მომთაბარე ტომი იყო, რომელსაც არავითარი განვითარება არ ეტყობოდა. არც ენა ჰქონდათ, არც განათლება, მხოლოდ თარეშითა და ძარცვით ცხოვრობდნენ. თანამედროვე აფხაზები XVI საუკუნიდან XIX საუკუნის ფარგლებში ქართველურ - ქართულ მოსახლეობასთან ინტეგრაციის შედეგად ჩამოყალიბდნენ, როგორც აფხაზური ეთნიკური ჯგუფი, თანამედროვე აფხაზური ენით. ეთნონიმი „აფხაზი“ მათ მიისთვისეს ქართველების დახმარებით, რადგან ქართველებს ახსოვდეთ ძველი აფხაზები, რომლებიც ამავე რეგიონიდან იყვნენ

ადრეულ ხანაში ჩამოსახლებულები, თუმცა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მათ არანაირი კავშირი არ აქვთ „ძველ აფხაზებთან“. აბაზებმა ინტეგრაციის შედეგად ქართველებისაგან ისწავლეს სამეურნეო დარგები, თუმცა, დღეს წერენ, რომ „მეურნეობის ცალკეული დარგების სიღრმისეული ცოდნა „ძველთაგან დაუგროვდათ“. ქართველებს საერთოდ არ ახსენებენ.

მათი ერთადერთი ეთნოლოგის ი. აჯინჯალის აზრით (მეგრული გვარის ჯინჯოლიას გააფხაზებული ვარიანტი) „აფხაზებისთვის მეღვინეობა-მევენახეობა „ძველთაგან“ მათი საყვარელი დარგი“ ყოფილა. 1863 წლიდან, თურმე, აფხაზებს „მრეწველობის“ სტატუსი ჰქონდათ მინიჭებული (Аджинджал, 1969:147-148).

1836 წ. რუსეთიდან აფხაზეთში ბალასმა იმოგზაურა, რომელმაც შემდეგ დაწერა, რომ „პირველი ღვინის მრეწველები აფხაზეთში ქართველები არიან“. ყველა აფხაზი ავტორი, ვინც მეღვინეობა-მევენახეობაზე წერს, მაინც ვერ მალავს, რომ XIX საუკუნეში და XX ს-ის დასაწყისშიც ისინი მიწაში ორმოს თხრიდნენ, თიხით ამოლესავდნენ, შემდეგ შიგ ცეცხლით გამოწვავდნენ, ამოწმენდდნენ. ამოწმენდილ ორმოში ფეხით ყურძენს ჭყლეტდნენ, ორმოს თავს გვიმრით ფარავდნენ და დადუღებამდე აცდიდნენ. დადუღებული ღვინო ხის კასრებში გადაჰქონდათ (Торнау, 1930:37).

ქართველმა მეცნიერმა ბ. ჯანაშიამ, რომელიც აფხაზეთში მოღვაწეობდა, მევენახეობა-მეღვინეობის აფხაზურ ტერმინებს მონოგრაფია მიუძღვნა (Джанашия, 1955). აფხაზ ავტორებს არ მოეწონათ, რომ მეღვინეობის ტერმინოლოგიის უმეტესი ნაწილი სწორედ ქართველური - ქართული ენის გამოყენებით იყო შექმნილი. ამიტომ, ეს საკმაოდ საინტერესო ნაშრომი მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა. დასადასტურებლად მარტო ვაზის სახელიც კმარა - ვაზს აფხაზურად „აჯახუა“ ეწოდება (ჯა=მეგრ. „ხე“, ხუა=ქართ. „მხვიარა//დახვეული); ასეთივეა ქართული „ღვინო“, რომელიც დღეს მთელი მსოფლიოს სხვადასხვა ენაშია ეს ტერმინი შესული; ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ერთ-ერთი უძველესი და ამიერკავკასიაში მცხოვრები ქართველების ენამ შექმნა ეს ტერმინი.

როდესაც სოხუმის მთა გაითხარა და იქ არქეოლოგების მიერ დათარიღებული (ჩვ.წ. V-IV სს) სხვადასხვა რაოდენობის ღვინის ქვევრები აღმოჩნდა, ა. ხაშბამ სასწრაფოდ დაწერა, რომ ეს ყველაფერი აფხაზების შექმნილი ყოფილა (Хашба, 1959:8-9). ქართველები, როგორც აფხაზეთის ძირ-ძველი მოსახლეობა, ამ შემთხვევაში იგნორირებული იყო.

რ. ჭანბა თავის ნაშრომს ასე იწყებს: „აფხაზები კავკასიის ერთი უძველესი მოწათმოქმედი ხალხია, რასაც სხვადასხვა არქეოლოგიური, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალები მოწმობენ“, თუმცა, წყაროებს ვერ ასახელებს (Чанба, 1986:6).

ნ. ბჟანია ცდილობს ნაშრომში ქართული გვარი, თავადის - შერვაშიძე არ ახსენოს, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ უკვე XI საუკუნეშია ფიქსირებული.

მაგრამ, ამის საწინააღმდეგოდ „საიდუმლოს“ გვიმხელს, რომ აფხაზეთში ყველაზე ადრეული „აფხაზური გვარი „ჩაჩბა“ ყოფილა, რომელიც „სამწერლობო წყაროში“ ყოფილა დადასტურებული, თუმცა, წყაროს ვერ ასახელებს. „საკუთარი ზეპირი წყაროთი“ იგი გვამცნობს, რომ V ს. მეფე ლეონ II „ჩაჩი“ ყოფილა გვარად. ამ გვართან აფხაზებს რამოდენიმე საუკუნის მანძილზე ახლო ნათესაობა ჰქონდათ. ისინი პრივილეგირებულნი და ძალაუფლების მპყრობელი ხალხი ყოფილა. ლეონ II-ის დედა სწორედ „ჩაჩის“ ტომის წარმომადგენელი ყოფილა. „სისხლით ნათესაობას“ ლეონ II-ის გვარი განსაზღვრავდა და იგი „ჩაჩბა“ გამხდარა (Бжания, 1962).

ს. ჯანაშია, რომელიც XX საუკუნის 60-იან წლებში ჩრდილო კავკასიაში ეთნოგრაფიულ მასალებს კრეფდა, „აჩისა“ და ჩაჩის“ შესახებ გადმოცემები ჩაუწერია. მასალებიდან გამომდინარე, იგი ფიქრობდა, რომ აბაზებს „აჩი“ და „ჩაჩი“ სახელები XVII საუკუნიდან უნდა ჩამოეტანათ და ქართველი თავადების გვარები ანჩაბაძე და შარვაშიძე უნდა შეეცვალათ (ჯანაშია, 1968:30-31).

ნ. ბჟანიას გვარებთან დაკავშირებული ჩანაწერი, როგორც აღვნიშნეთ, „ზეპირი საკუთარი წყაროა“. საქართველოში ქართველების მეტი, ფეოდალები არავინ ყოფილან, რადგან ქართული ფეოდალიზმი იყო გავრცელებული (ბერძენიშვილი, 1990). ამრიგად, არც „აფხაზური ფეოდალიზმი“ და არც „აფხაზი ფეოდალები“ ბუნებაში არ არსებობდნენ.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ეთნოლოგმა შ. ინალ-იფამ თავისი ბოლო 600 გვერდიანი ნაშრომი აფხაზურ საკუთარ სახელებს და გვარებს მიუძღვნა. მისი ვარაუდით, „აფხაზური სახელები ისტორიულ წყაროებს შემორჩათ“... თუმცა, წყაროებს არ გვისახელებს. „ამ სახელებს ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის დასაწყისში აფხაზური მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები მოიხმარდნენ“... (Инал-ипа, 2002:11 და შემდგ.). მეორე ნაშრომში კი, აი რას წერს, რომ „კვლევიდან გამომდინარე, XI საუკუნიდან, როდესაც ქართული მონარქიული გავლენა გაიზარდა აფხაზეთში, აფხაზური საკუთარი სახელები მიზანმიმართულად ქართულად ფორმდებოდა - მაგ.: აფხაზური დოთაღო - ქართ. დათაღო, აფხ. ფამარ - ქართ. თამარ; აფხ. დარდინ - ქართ. დარდინ; აფხ. ქუჯმა (=აფხ. მგელი) - ქართ. ქუჯი... ამავე დროს უცხო ქვეყნებიდან შემოსული სახელებიც ქართული ენის წესით მოიხმარებოდა - მაგ.: მარია, ლამარა (Инал-ипа, 2009:11-12).

დასკვნა. თავისთავად ცხადია, რომ პირველ ათასწლეულში აფხაზების ანთროპონიმული მოდელების დიაქრონიული შესწავლა უბრალოდ გამორიცხულია. ჯერ ერთი, აფხაზური ენა XVI-XIX სს-შია ჩამოყალიბებული, მეორე, უძველეს დროს ჩამოყალიბებულ დისკრეტულ მოსახლეობას არც ენა და არც ეთნიკური სახელი არ გააჩნდა, მესამე, II და V საუკუნეებში და XVI საუკუნეში ჩამოსახ-

ლებულ მოსახლეობას შორის ყველანაირი კავშირი გამორიცხულია. იქ მაცხოვრებელ ქართველურ მოსახლეობაში და არც ძველ ბერძნულ-რომაულ წყაროებში აფხაზურის მსგავსი საკუთარი სახელები არ დასტურდება.

რაც შეეხება დოთაღოს და დარდინს, ისინი აფხაზური საკუთარი სახელები ნამდვილად არ არის. ეს სახელები ირანული წარმოშობისაა, რომელიც ქართულ-სპარსული ისტორიული ურთიერთობის შედეგად უნდა იყოს გავრცელებული. დოღაღო და დარდინ შარვაშიძეები იყვნენ. მარია და თამარ - ებრაული წარმოშობის სახელებია, რომელიც საქართველოში ადვილად გავრცელდა. თუ ვიგულისხმებთ, რომ XVI ს-ის შემდეგ აფხაზებში „ფამარ“ იყო გავრცელებული, მაშინ შეცვლილი სახით აფხაზურში სწორედ ქართულიდან უნდა შესრულიყო. ლამარა კი ნამდვილად ქართველურ-სვანური წარმოშობისაა, მსგავსად ეკლესიური „მარია-ლამარია“-სი. ეგრისის ერისთავის, ქუჯის ანთროპონიმი კი, ი. ანთელავას ვარაუდით, ციხე-გოჯის სახელწოდებას უკავშირდება. ქუჯი და გოჯი, ორივე ფილთაქვასავით ძლიერს („ქვა-ხეს“) აღნიშნავს (ანთელავა, 1988:11-15). ამრიგად, შ, ინალ-იფას მიერ „ძველ აფხაზურ“ ანთროპონიმებად მიჩნეული სახელები, აშკარად არც ერთი აფხაზური არაა.

ბუნებრივია, ანთროპონომიკა საკუთარ ეთნოსთან, მოსახლეობის ისტორიასთან და, რაც მთავარია, ენასა და დამწერლობასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. საქართველოში და, კერძოდ, აფხაზეთში ქართველური - ქართული ანთროპონიმური სისტემა ძველთაგან ქართულ ნარატიულ ძეგლებშია დადასტურებული (იხ: სილოგავა, 1986, ახალაძე, 2005). რაც ქართულ გვარ-სახელებს შეესაბამება, VIII-IX საუკუნეებიდან დოკუმენტურად დასტურდება. XII საუკუნეში კი, იგი უკვე სისტემად იყო ჩამოყალიბებული (თოფჩიშვილი, 1997:12,34,100).

რაც შეეხება აფხაზურ გვარსახელებს, XVI საუკუნეში აბაზები უგვაროები იყვნენ. ჩამოსახლებულები, ვის მიწაზეც სახლდებოდნენ, მათ გვარებს იღებდნენ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ანთროპონიმული სისტემა ენასა და დამწერლობასთან არის დაკავშირებული. 1862 წლიდან თანამედროვე აფხაზებს ოთხჯერ ჰქონდათ მცდლობა ანბანის ჩამოყალიბების, თუმცა, საბოლოოდ, 1954 წ. მათი დამწერლობა სლავური ანბანის გამოყენებით გაფორმდა. აფხაზების რუსმა „მეგობრებმა“ საქართველოში ჩამოსახლებულ მოსახლეობას თავის საკუთარ ენაზე სწავლა-განათლების უფლება არ მისცეს. დაუწესეს, რომ რუსულად უნდა მიეღოთ განათლება, სამწუხაროდ, თანამედროვე აფხაზთა უმეტესობა დღეს სრულიად გარუსებულია.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანთელავა (1988) ილია ანთელავა. XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, საქ. სსრ მეცნ. აკად., ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი, 1988. გამომცემლობა „მეცნიერება“;

ანჩაბაძე, ბოცვაძე, თოგოშვილი, ცინცაძე (1969) ზურაბ ანჩაბაძე, თეიმურაზ ბოცვაძე, გიორგი თოგოშვილი, მარინე ცინცაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვეთი, I. თბილისი, 1969. გამომცემლობა „მეცნიერება“;

არიანე... (1961) ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნათელა კეჭაყმაძის გამოცემა, თბილისი, 1961. საქართველოს მეცნიერებათა აკა-დემიის გამომცემლობა;

ახალაძე (2005) ლია ახალაძე, აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც ისტორიული წყარო, I, ლაპიდარული და ფრესკული წარწერები, თბილისი, 2005. გამომცემლობა ლეგა;

ბერძენიშვილი (1990) ნიკო ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1990. გამომცემლობა „მეცნიერება“;

გამახარია (2018) ჯემალ გამახარია, ლია ახალაძე, დაზმირ ჯოჯუა, აფხაზეთის (საქართველოს) ისტორიის საკითხები, თბილისი, 2018. გამომცემლობა „მერიდიანი“;

გოგაძე (1982) ელგუჯა გოგაძე. კოლხეთის ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბილისი, 1982. გამომცემლობა „მეცნიერება“;

დოლიძე (1970) ისიდორე დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები, III. თბილისი, 1970. გამომცემლობა „მეცნიერება“;

თოფჩიშვილი (1997) როლანდ თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარ-სახლები, თბილისი, 1997;

ინაძე (1960) მერი ინაძე, ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის საკითხებისთვის, საზ. მეც. განყ. „მოამბე“, 1960, N2.

ინაძე (1986) მერი ინაძე. სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში, „მაცნე“, ისტორიის სერია, N4, 1986.

ინაძე (2009) მერი ინაძე, ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები, თბილისი. 2009. გამომცემლობა „არტანუჯი“;

საბანისძე (1981) იოანე საბანისძე, ჰაბოს წამება, ქართული პროზა, წ. I, თბილისი, 1981;

ლამბერტი (1991) დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი 1991; გამომცემლობა „აიეტი“;

ლომოური (1968) ნოდარ ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, წარმოქმნიდან ახ. წ. V ს. ბოლომდე. თბილისი, 1968. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

ლომოური (1963) ნოდარ ლომოური. ბერძენი ლოლოგრაფოსების ცნობები საქართველოს, მასალების კავკასიის ისტორიისთვის, ნაკვეთი 35. 1963.

ლორთქიფანიძე (1973) მარიამ ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, ტ. II, თბილისი 1973;

მიქელაძე (1974) თეიმურაზ მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბილისი 1974. გამომცემლობა „მეცნიერება“;

მუსხელიშვილი (1980) დავით მუსხელიშილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბილისი, 1980. გამომცემლობა „მეცნიერება“;

სილოგავა (1980) ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები : ტომი II. დასავლეთ საქართველოს წარწერები: IX-XIII სს. ნაკვეთი I. 1980. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“;

ყაუხჩიშვილი (1953) ძველი ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ ს. ყაუხჩიშვილი, 1953;

ყაუხჩიშვილი (1976) თინათინ ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბილისი, 1976. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

ჯავახიშვილი (1986) ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. V, თბილისი 1986. გამომცემლობა „მეცნიერება“;

Анчабадзе (1959) Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI - XVIII вв), Сухуми, 1959. Издательство «Алашара»;

Аджинджал (1969) Аджинджал И.А., Из Этнографии Абхазии, Сухуми, 1969. Издательство «Алашара»;

Бжания (1962) Бжания И.Н. Из истории хозяйство Абхазов, Сухуми, 1969. Издательство «Алашара»;

Данилова (1984) Данилова Н., Абазины, Москва, 1984, Издательство Московского университета;

Джанашия (1955) Джанашия Б. П. Абхазская лексика виноградарства и виноделия, Сухуми 1955. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა;

Инал-ипа (2002) Инал-ипа Ш. Д. Антропонимия абхазов, Сухуми, 2002. Издательство «Алашара»;

Инал-ипа (2002) Инал-ипа Ш. Д. Антропонимия абхазов, Майкоп: ГУРИПП "Адыгея", 2002;

Лавров (1955) Лавров Л.И. Адыги в раннем средневековье, "Сборник статей по истории Кабарды", вып. I, Нальчик, 1955;

Латышев (1904) Латышев В.В., Известия древних писателей греческих и латинских, т. I, Латинские писатели, вып. IV, СПБ, 1904;

Словарь (1988) Словарь иностранных слов, Москва.,1988,Издательство: Рус. язык;

Торнау (1930) Торнау Ф.Ф., Воспоминание Кавказского офицера, Москва, 1930;

Чанба (1986) Чанба Р. Земледелие да скотоводство у абхазов, Тбилиси, 1986;

История... (1988) История народов северного Кавказа с древнейших времен до конца XVII века, Москва1988. Наука.